წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

ოქმი N5

ქ. წალკა; 06.02.26 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა აბულაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალი ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარი ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე უშანგი ბოლქვაძე, ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე ბადრი ხოზრევანიძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის).

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:40 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ";

3. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებუში უმრავლესობის წევრთა სიის რეგისტრაცია შესახებ.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები, დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებსა და საკრებულოს ფრაქციებს, სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 20 თებერვლისა საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები, დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიებსა და საკრებულოს ფრაქციებს, სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 20 თებერვლისა საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

3. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განცხადება წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში უმრავლესობის წევრთა სიის რეგისტრაციის შესახებ, შესაბამისი დოკუმენტაციით. რის შემდეგადაც ბიუროს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში უმრავლესობის წევრთა სიის რეგისტრაცია ბიუროზე ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*